სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

65412908549019

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N190779575

რეგისტრაციის თარიღი

03.07.2019 წ

ნოტარიუსი: ნატა გრძელიშვილი
მისამართი: ქალაქი თბილისი ქუჩა ი. აბაშიძე #43 (კავსაძის ქუჩა #9)
ტელეფონი: 571511220

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

ორი ათას ცხრამეტი წლის სამ ივლისს მე, ნოტარიუს ნატა გრძელიშვილს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს: ქალაქი თბილისი ქუჩა ი. აბაშიძე #43 (კავსაძის ქუჩა #9), მომმართა შპს ,, გურმე"-ს (ს/კ 404407879) დირექტორმა **ნინო მამულაშვილმა** (რაც დასტურდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (ს/კ 404407879) განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B19031010, 20/03/2019 17:36:40. მან განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ნინო მამულაშვილმა** (დაბადებული 24.09.1971 წელს პირადი # 24001003099 პირადობის მოწმობის სერია 15IE66383 რეგისტრირებული მისამართზე: **თბილისი ლ.პასტერის ქ. N 7ა**) მომმართა. მისი ქმედუნარიანობა შევამოწმე და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. შემდეგ შევადგინე მინდობილობის ტექსტი. მან წაიკითხა და განაცხადა რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგი შინაარსის დოკუმენტს.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, შპს ,, გურმე"-ს (ს/კ 404407879) დირექტორი **ნინო მამულაშვილი** (მონაცემები მოცემულია ზემოთ) უფლებამოსილებას ვანიჭებ **ირმა ბურდულს** (დაბადებული 07.09.1970 წელს პირადი # 01010006828) შემდგომში "მინდობილს" მასზედ, რომ იყოს საზოგადოების წარმომადგენელი ქალაქ თბილისის მერიაში და მის დაქვემდებარებულ ნებისმიერ სამსახურში, მათ შორის: არქიტექტურის სამსახურში. შეიტანოს განცხადება, წარადგინოს და მიიღოს ნებისმიერი ცნობა, დოკუმენტი, ინფორმაცია, ამონაწერი, ატვირთოს პროექტი, შეათანხმოს პროექტი, მოახდინოს პროექტის ლეგალიზება, მიიღოს მშენებლობის ნებართვა, აწარმოოს სარეკონსტრუქციო სამუშაოები, აწარმოოს მოლაპარაკებები მესამე პირებთან, განაცხადოს თანხმობა ან უარი. ჩემი, როგორც საზოგადოების დირექტორის ნაცვლად მოაწეროს ხელი ყველა საჭირო დოკუმენტს, მათ შორის: შეთანხმებას, ხელშეკრულებას და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია ექვსი თვის ვადით და ძალაშია ორიათასოცი წლის სამი იანვრის ჩათვლით.

მინდობილობა შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, ორი გადაეცა მიმნდობს, ერთი ინახება ნოტარიუს ნატა გრძელიშვილის სანოტრაო ბიუროს არქივში, რომელსაც აქვს დანართი: 1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, (ს/კ 404407879) განაცხადის ნომერი: B19031010, 20/03/2019 17:36:40.

სანოტარო აქტის (მინდობილობის) დამოწმებისთვის გადახდილია საზღაური საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილება #507-ის ,,სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების" შესახებ 31-ე მუხლის შესაბამისად 10.00 (ათი) ლარი ასევე 2.00 (ორი) ლარი იგივე დადგენილების 39-ე მუხლის შესაბამისად, სულ 12.00 (თორმეტი) ლარი.

მიმნდობი ნინო მამულაშვილი

ნოტარიუსი ---------- ნატა გრძელიშვილი